წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 11 მაისი 1916 წ. № 104

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

უღრმეს მადლობას ვსწირავ იმ ჩვენს ნათესავებს და ნაცნობებს, რომლებიც სიშორით და უამინდობის გამო ვერ დაესწრნენ

**მამიჩემის დაკრძალვაზე**

და დეპეშებით და წერილებით მაცნობეს სიმწუხარე.

**მიხაკო დარისპანის ძე გომართელი.**

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი № 131)

**ოთხშაბათს**, 11 მაისს, **ქართული წარმოდგენა.** მონაწილეობას მიიღებს ქართული დრამატიული დასი.

**ხუთშაბათს**, 12 მაისს, **სამხედრო ორკესტრი.**

**პარასკევს**, 13 მაისს, **ოპერეტკა** ქართულ ენაზე.

**შაბათს**, 14 მაისს, **სამხედრო ორკესტრი.**

**კვირას**, 15 მაისს, **სინემატოგრაფი.**

1—92—1

**მომხმარებელ საზოგადოების**

**„მეურნე“-ს გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 12 მაისს, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა. სარაჯიშვილის სახლი) მოხდება

**საგანგებო კრება**

საზოგადოების წევრებისა.

**კრების საგანი:** 1) კავკასიის კოოპერატივთა კავშირში წევრათ შესვლა. 2) მოხსენება საქმის ვითარების შესახებ და სხვა. გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს წევრთ უეჭველად მობრძანდნენ. (2—93—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 7 მაისი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** დარევთან, სამხრეთ-აღმოსავლეთით ბარანოვიჩიდან, მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მტერი შეეცადა ჩვენს თხრილებს მოახლოვებოდა, მაგრამ ცეცხლით ადვილად მოვიგერიეთ. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო და თოფის სროლაა. უფრო გაცხოველებული სროლაა იკსკიულსა, ილუკსტსა, სმორგონსა, ზემო სტრიპაზე და ტარნოპოლთან.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში ჩვენმა ჯარმა ქალ. საკიზი დაიპყრო და წინსვლას განაგრძობს სოფ. ბანასკენ.

**პეტროგრადი,** 8 მაისი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** ილუკსტის და ჩრდილოეთით ილზენის ტბის მიდამოებში გერმანელებმა წინ წამოიწიეს, მაგრამ დიდის ზარალით უკუვაგდეთ. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი სარტილერიო და თოფის სროლაა, რომელიც დვინსკის და სმორგონ-კრევოს მიდამოებში ძლიერ გააცხოველეს. დვინსკის და მიადზიოლის ტბიდან ჩრდილოეთით გერმანელები ასაფეთქებელ ტყვიას ხმარობდნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** მოსულის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ იწევს.

**პეტროგრადი,** 9 მაისი. **ოფიციალი.** სოფ. ოსტროვის მიდამოებში, ნაროჩის ტბის ჩრდილოეთით, საღამოს 7 მაისს, საშინელი საარტილერიო ცეცხლით გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ უკუ ვაქციეთ. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა გერმანელების რაზმი. სოფ. კოსტიუხნოვკის მიდამოებში, ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიშები. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში რიგის სრუტიდან ვიდრე რუმინეთის საზღვრებამდე ჩვეულებრივი სროლაა.

**ბალტიის ზღვა.** ჩვენმა წყალქვეშამ დალუპა გერმანელების სამი გემი.

**კავკასიის ასპარეზი.** დიარბექირის მიმართულებით მოწინავე ნაწილების შეჯახებაა.

—

**ლონდონი,** 6 მაისი. შტაბის ცნობა. 30 აპრილს ინგლისელთა პატარა მონიტორს „№ 30“ გერმანელებმა ზარბაზანი დაუშინა. მონიტორს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მალე ჩააქრეს. სროლის დროს ორი დაიჭრა და ორიც მოკვდა.

შტაბის ცნობა საფრანგეთში. სომის და ანკრის შუა არასის მიდამოებში ზარბაზნები ახმაურდნენ. გერმანელებმა ხელთ იგდეს პატარა საზვერავი ადგილი ჩრდილოეთით ვიმიდან. როკლენკურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს; ინგლისელებმა კიდევ ლანსის მიდამოებში, კოლონნასთან აფეთქეს ნაღმი. საარტილერიო ბრძოლაა სუშესა, ლოოსა და გიულიუკსთან. ამავე ადგილებში მფრინავებიც ამოქმედდნენ.

**პარიზი,** 7 მაისი. დღის ოფიციალი. ბელგეთში მტერი შეეცადა იზერის არხზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მალე შეაჩერა.

შამპანში, სენტ-ილერის და სენტ-უპლეს გზების შუა, გერმანელებმა მხრჩოლავი ბოლი იხმარეს. მაასის დასავლეთით, ავოკურის ტყის და მორტჰომის სიმაღლის შუა, გერმანელებმა საშინელი სროლა აუტეხეს ჩვენს სანგრებს.

**პარიზი,** 7 მაისი. საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე მორტჰომის მიდამოებში, ავოკურის ტყის და „304“ სიმაღლის შუა საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. მთელი დღის განმავლობაში, მტერი ერთხელაც არა ცდილა იერიშით წამოსვლას. მაასის მარჯვენა ნაპირზე, ვევრში, მთელი სიმძაფრით მოქმედობდა არტილერია. შამპანში და ვოგეზებში მტრის არტილერიამ განსაკუთრებული მხნეობა გამოიჩინა. 6 მაისს, ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში, ჩვენმა მფრინავებმა ბლომა ყუმბარები ჩამოჰყარეს.

**ჰავრი,** 6 მაისი. ბელგეთის ცნობა. დიქსმიუდეს მიდამოებში გერმანელების არტილერია მხნედ მოქმედებდა.

**პარიზი,** 7 მაისი. საღამოს ცნობა. რუადან ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის სასურსათო ადგილებს ყუმბარები დაუშინა და ბევრგან ცეცხლი გააჩინა. შამპანში მტერს მოულოდნელად თავს დავესხით ვილ-სიურ-ტურბთან; ამ ადგილში გერმანელთა ერთი ნაწილი ამოვხოცეთ, ნაწილი—ტყვედ წავიყვანეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე მტერმა მორტჰომის მიდამოებში იერიში მოიტანა და ბრძოლის პირველ ხანებში შემოიჭრა, მაგრამ დიდის ზარალით უკუ ვაგდეთ. დასავლეთით და ჩრდილოეთით მორტჰომიდან მტერმა, დიდი სისხლის ღვრის ბრძოლის შემდეგ, შესძლო ჩვენი მოწინავე თხრილების ხელში ჩაგდება; შემდეგ ჩვენ ბრძოლის მეორე ხაზს მოუახლოვდა, მაგრამ ზარბაზნის მკაცრი სროლით უკან დაიხიეს. ავოკურის და „304“ მაღლობთან მთელი დღით ზარბაზნები მოქმედებდნენ.

**პარიზი,** 8 მაისი. (დასასრული) გუშინ გერმანელთა მფრინავებმა დიუნკერკს ყუმბარები დაუშინეს. აქ ჩამოაგდეს 20 ყუმბარა, 15 კაცი დაიჭრა, 4 მკვდარია. ამავე ადგილებში გერმანელთა მფრინავ ესკადრამ 100 ყუმბარა ჩამოაგდო. 20 ჯარის კაცი დაიჭრა, 2 კაცი და ერთი ბავშვი მოკვდა. ამავე დღეს მოკავშირეთა 53 მფრინავმა ვეივერგთან და ტისტელთან 250 ყუმბარა ჩამოაგდო.

**რომი,** ოფიციალი, 6 მაისი. ადამელოს მიდამოებში ჩვენმა ჯარმა სარკას სიმაღლე ხელთ იგდო, აქ 30 ტყვე და მრავალი სურსათი ვიგდეთ ხელთ. კიეზე და ადიჟეს შუა მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. ადიჟე და ტერანიოლოს შუა პუნიატორტი ასპარეზი გავანთავისუფლეთ და უკან დავიხიეთ. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ეს ადგილები სულ მინგრეულია. ტერანოლოს და ასტიკოს მიმართულებით მტერმა მრავალი ზარბაზანი აახმაურა მონტე-მაჯიოს და სალო-დასპიოს შუა. ეს ბრძოლის ხაზი დავტოვეთ და მწყობრად უკან დავიხიეთ და გავმაგრდით. ასიაგოს მიდამოებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა ზარბაზნებმა ინიხენ-სილიანის ხაზს ყუმბარები დაუშინეს. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი,** 8 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა. ბაკკარი-ეფინალ-ბეზულის მიდამოებში გერმანელთა მფრინავების თავდასხმას დიდი ზიანი არ მოუყენებია: სუბუქად არის დაჭრილი 4 კაცი. 7 მაისს ღამით, ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს თიოვენილზე; უშენდნენ აგრეთვე ეტენს, სპენკურას და ბანაკს აზან-დამვილერის მიდამოებს. ჩამოყრილ ყუმბარებმა სადგურის შენობებში ცეცხლი გააჩინეს. ბეზონში შეებრძოლნენ ოთხი ჩვენი საფრენი და მტრის სამი „ფოკსერი“. დაზიანდა მტრის ერთი საფრენი, ერთი „ფოკსერთაგანი“ ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბულგარეთი**

„Petit Journal“-ს სალონიკიდან ატყობინებენ: გერმანელთა რიცხვი სერბეთში ძალიან შეამცირეს, იგინი მხოლოდ იმ სოფლებში დარჩნენ, რომელნიც სერბეთ-საბერძნეთის საზღვარზე მდებარეობენ.

სტრატეგიულის მოსაზრებით, ბულგარელებმა მთელი მხარე რკინის გზებით დაჰქსელეს. მონასტირიდან პრილეპამდე უკვე გაყვანილია ერთი შტო, მეორე უსკიუბ-დოირანს ჰაერთებს და პეტრიჩ-მენელკის შტოსაც ეხლა ამთავრებენ.

**ბალკანეთი**

იტალიის გაზეთების ცნობით მონასტირის მიდამოებში ავსტრიელთა ჯარი მცირე რიცხვს შეადგენს. მაკედონიის საზღვრებზე 200.000 ბულგარელი ჯარია, რომელიც ვარნას და დედეგაჩის შუა იმყოფება. ამ უკანასკნელ ხანებში მონასტირში გერმანელთა ჯარი [illegible]ვიდა. ჯარი და ზარბაზნები უსკიუბ-ველესის გზით გადაჰყავდათ. როგორც ირწმუნებიან გერმანელები მეტად აძლიერებენ ბალკანეთის ასპარეზს, ამრავლებენ სიმაგრეებს და საჭირო იარაღიც მოზიდეს. ამ ადგილებში მათ 18, 21 და 30 სანტიმეტრიანი ზარბაზნები მოუტანიათ.

**კავკასიის ასპარეზი.**

სატახტო გაზეთების ცნობით ბითლისის და დიარბექირის მიმართულების ოსმალთა დიდ ჯარს მოუყრია თავი, როგორც ეტყობა გერმანელებს ამ ადგილებში მიუშველებიათ თავიანთი ჯარი, რასაც ჰმოწმობს ტყვიისმფრქვეველთა სიმრავლე. ამავ ადგილებში გერმანელთა ინსტრუქტორების დახმარებით მავთულით ამაგრებენ ბრძოლის ხაზს. რუსთა წინსვლამ მესოპოტამიაში და კავკასიის ასპარეზზე შიში დაჰბადა გერმანელთა შორის და სწორედ ამ გარემოებამ აიძულა იგინი თავიანთ მოკავშირეთ რითაც კი შეუძლიანთ დაეხმარონ. ხმები, ვითომც გერმანელებმა დიდძალი ჯარი მიაშველეს ოსმალებს, სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს, რადგანაც რუსეთის და საფრანგეთის მხრივ ძნელად, რომ შესასუსტონ თავიანთი ძალები. სამხედრო პირები მეტ ღირებულებას აძლევენ იმ ამბავს, ვითომც ოსმალთ სმირნის მიდამოებში კარგა ძალისთვის მოეყარნოთ თავი. ეს ამბავი პეტროგრადის სააგენტომ გვამცნო და შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს, რადგანაც სალონიკის მხრივ ინგლისის, საფრანგეთის და სერბთა ჯარების შეტევას მოელიან. ამ გვარ მოულოდნელი სიურპრიზის თავიდან ასაცდენად, ოსმალები ეცდებიან რამე ზომა იღონონ.

სამხედრო წყაროებიდან ირწმუნებიან: კავკასიის ასპარეზზე ახალი ამბებისათვის მომწიფდა დრო. ოსმალთა ძლიერი მაშველი ძალები უკვე გადაიყვანეს დასავლეთით აზრუმის მიდამოებიდან და ბაიბურთის მიმართულებით. რუსებს ამ ადგილებში ოსმალთა ძლიერ ჯართან მოუხდებათ შეხლა, რომელთა მიზანია არა მხოლოდ თავიანთ მიწა წყლის დაცვის საკითხი, არამედ არსებობისაც. ჯერჯერობით რუს-ოსმალთა შეხლას ადგილობრივი ხასიათი აქვს.

როგორც გამოირკვა, ქალ. მამახათუნი და ახლო მახლო მიდამოები რუსების ხელშია ოსმალები კი მამახათუნის მიდამოებიადან დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით იმყოფებიან. რუსის ჯარი აქ ნელ-ნელა აჩერებს ოსმალებს და უკანაც ახევინებს.

რევანდუზის დაპყრობა რუსების მიერ საშიშ მდგომარეობაში ჩააგდებს მესოპოტამიაში მყოფ ოსმალთა ჯარს. რუსის ჯარი კნრასუნდისკენ იწევს. აქედან მთავრობის დაწესებულებები დიდი ხანია გაიხიზნენ.

**პინსკთან**

სამი თვის სიჩუმის შემდე, პინსკთან კვლავ ახმაურდა არტილერია. საარტილერიო დუელი მეტად მტკიცე ხასიათს იღებს პინსკის სამხრეთით და ჩრდილოეთით. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ავსტრია-გერმანელები ქარიშხალისებურს ცეცხლს აჩენენ. ომის მახარობლად გერმანელთა მფრინავებიც გამოჩნდნენ.

**მდგომარეობა პოლესიაში**

როგორც „ბირჟ. ვედ.“-ს ატყობინებენ: მთელს პოლესიაში ბარანოვიჩიდან დაწყობილი ვოლინის ჩრდილოეთამდე წვრილი შეტაკებანი დაიწყო.

მუდმივის მოქმედებისგან ასპარეზის ადგილები მოტიტვლებულია და ორივე მხრისთვის მაზარალებლად გადაიქცა. ამის გამო ყველგან გამრავლებულია სადარაჯოთა და მზვერავთა რიცხვი. ბოლო ხანებში მეტად გაძლიერდა წვრილი ბრძოლა, რომელიც ჩვეულებრივ თოფის სროლით იწყობა და შემდეგ ხელჩართულ ბრძოლით თავდება. გერმანელები წვრილ შეტაკებაშიც ტყვიის-მფრქვეველებს ხმარობენ.

**რიგასთან**

მთელი კვირის განმავლობაში რიგასთან სიწყნარეა. არ მომხდარა არავითარი ბრძოლა და შეტაკება, ხანდისხან თუ გაისმის ზარბაზნების გრიალი, რაიცა მალე მიყუჩდება ხოლმე. მოქმედება ქალაქიდან კარგა მანძილით არის დაშორებული და ქალაქის მცხოვრებნი ჩვეულებრივ მუშაობას განაგრძობენ. გერმანელები დიდის შრომით და მეცადინეობით ამაგრებენ ასპარეზის სანგრებს და სხვა სიმაგრეებს: რომელიც გაზაფხულის წყალდიდობამ დააზიანა. ბოლო დღეებში გამოჩნდნენ გერმანელი მფრინავებიც, რომელნიც უამინდობის გამო აქნობამდე ვერ მოქმედებდნენ.

**ვერდენი**

„Strasburger Post“-ის კორესპონდენტი, რომელიც გერმანეთის შტაბში იმყოფება, სწერს: ვერდენთან მოქმედების დროს, გერმანელებს მიზნად არა ჰქონიათ ვერდენის აღება, რასაც ამტკიცებს გერმანეთის ოფიციალი ცნობები: ჩვენ გვსურდა მხოლოდ გაგვენადგურებინა მაშველი ჯარი და არა სიმაგრის აღება.

**ბაღდადის რკინის გზა.**

გაზ. „Bazeler Nachrihten“-ი სწერს: სრულებით დათავდა ბაღდადის დიდმნიშვნელოვანი რკინის გზა, რომელიც ასე ხელს შეუწყობს ბაღდადის ოპერაციების გაძლიერებას.

რკინის გზა მხოლოდ არ არის გამართული დორაკ-კარამუნას და რასელტინ-სამარას უბნებში, 630 ვერსის მანძილზე, სამაგიეროდ აქ გაყვანილია მშვენიერი გზა-ტკეცილი, რომელიც ჯარის მოქმედებას ხელს უწყობს.

## ბრძოლის ველზე

კავკასიის ასპარეზიდან ისევ მოკლე და ბუნდოვანი ამბები მოდის: „დიარბექირის მიმართულებით მოწინავე რაზმთა შეტაკებაა“, ან ასე „მოსულისკენ მივდივართ“, იერიშები მოვიგერიეთ ერზინჯანის მიმართულებით“. ყველა ეს ნაცნობი ამბები და ძველებიდან თითქმის არაფერით განსხვავდება. რა ხდება ტრაპიზონის მიმართულებით, ან აშკალა-ბაიბურთისკენ, ის კიდევ საიდუმლოა და მთავარი შტაბიც არ ჩქარობს ამბების გამოქვეყნებას. ყველა ეს ერთხელ და უკანასკნელად ჰმოწმობს ოსმალთა ძალების გაძლიერებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შავ ზღვაზე რუსის სამხედრო ფლოტის მოქმედებისა აღარ ისმის რა, როგორც ამას ვხედავდით ამ რამდენიმე თვის წინ. მაშინ ბოსფორთან და ვარნასთან რუსები ხშირად დათარეშობდნენ და სატრანსპორტო იალქნიან გემებს და ხომალდებს ჰლუპავდნენ. ტრაპიზონის დაცემის შემდეგ ასეთ საზღვაო ლაშქრობის ამბავი აღარ მოდის. რუსეთის ფლოტის ბატონობა შავ ზღვაზე ასეთს დუმილს არა ჩვეულა და თუ დღეს ასეა, ალბად რაიმე გრანდიოზულ რამის მოლოდინშია...

სხვა ასპარეზები რუსეთში რიგადვინსკის ხაზია, მაგრამ ხაზი იგი სიჩუმით მოცულია, ყოველ შემთხვევაში მთავარი შტაბი საიმისოს არას ამბობს.

რაც შეეხება ვერდენს, აქ მდგომარეობა კვლავ საკრიზისო პერიოდში გადადის. გერმანელებმა იერიშები განაახლეს. მორტჰომზე კარგა წყება თხრილები აიღეს. მთელი „304“ მაღლობის რაიონიც ცეცხლის ალშია გახვეული. რკინის ალყა თანდათან ვიწროვდება, მაასის მარჯვნივ და მარცხნივ ნაპირებზე უმაგალითო იერიშები იწყება...

იტალეთის მხრით ერთხელ ამოვარდნილი ცეცხლი შუშხუნას ალსავით გაძლიერდა. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ავსტრიელებმა წაართვეს პუნიატორის პოზიციები. იგი თითქმის მთლად დანგრეულია. ავსტრიელები აქ არ ჩერდებიან და იერიშით წინ მოიწევენ. სამხრეთით, ასეთივე სროლა ასტეხეს თითქმის ყოველ ყალიბის ზარბაზნებიდან ასტიკოს მიმართულებით მონტე-მაჯიოდან სალიო-დასპიომდე. ეს ადგილებიც დასცალეს იტალიელებმა, როგორც თვითონ ამბობენ, მხოლოდ იმიტომ რომ ზედმეტ მსხვერპლს მორიდებოდნენ. თითქმის ყოველ მხრით მიაქვთ ავსტრიელთ იერიშები. საარტილერიო ცეცხლის ალში გაეხვია თითქმის მთელი იტალეთის ასპარეზი. ეს უკვე ზამთრის პატარ-პატარა შეტაკება აღარ არის. პირველი მაგალითია, რომ ამ ფრონტზე ასეთი ძალებით დაეწყოთ შეტევა. პირველ შეხედვითვე უნდა ვსთქვათ, რომ ავსტრიელთა დაძაბუნებაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, რადგანაც ისინი მიიწევენ წინ და... ოთხთა ერთი საუკეთესო მოკავშირე იძულებულია უკან დაიხიოს, მტკიცე პოზიციები დასტოვოს აუცილებლობისა გამო, რათა „ზედმეტი მსხვერპლი“ აიცილონ.

X.

## თბილისი, 11 მაისი.

**ქართველი ებრაელები.** საერობო თათბირმა ბევრი რამ საგულისხმო მოვლენა გამოუმჟღავნა ჩვენს საზოგადოებას. მეზობელ სომხეთა ჩვენდამი განწყობილება, აქომამდე გამოურკვეველი და ბევრისთვის საიდუმლო, ნათელმა მოიცო. 21 სომეხი წარმომადგენელი ისე, როგორც ერთი კაცი წინააღუდგა თათბირის ყველა სხვა წევრებს—ქართველებს, რუსებს, თუ მუსულმანებს. მათ სცადეს თათბირის მუშაობა სავსებით თავის ეროვნულ მისწრაფებისთვის დაექვემდებარებინათ და, როდესაც ეს ვერ მოახერხეს, ყოველს საკითხში მოინდომეს ისეთი ელფერის შეტანა, რომელიც საერობო მუშაობას რეალ ნიადაგს უკარგავდა და ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღებას დიდის ხნით გადასდებდა. გარიყულნი დარჩნენ თათბირზედ სომხურ ნაციონალიზმის წარმომადგენელნი. არავინ დაუჯერა მათ, რომ ისინი მთელი კუთხის კეთილდღეობით არიან გამსჭვალულნი და არა ვიწრო სომხური ლტოლვილებით. ჩვენ მეზობელთა ფარული ზრახვანი, რაც ჩვენთვის აქომამდეც საიდუმლოებას არ შეადგენდა, მთელი თავისი სიშიშვლით დაეხატა თვალწინ ქართველ საზოგადოებას და კავკასიის ყველა ეროვნებებს, და თვით სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელთ, თათბირის მონაწილეთ. ეს დიდი შედეგია იმ დიდი საერობო თათბირისა, რომლის მოწვევა კეთილ ინება მისმა უმაღლესობამ მეფის ნაცვალმა.

დიდი ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ერთ საკითხს, რომელიც თათბირზედ აღიძრა და კიდეც გადაწყდა.

თავ. დ. ო. ნიჟარაძემ წინადადება შეიტანა მე-II სექციაში—კავკასიაში მცხოვრები ებრაელები არ იქმნენ შეზღუდული საერობო თვითმართველობაში, როგორც რუსეთის ებრაელებიო. ქართველი ებრაელები ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ ათეულ საუკუნეთა განმავლობაში. ისინი განუშორებელი მოზიარენი არიან საქართველოს მრავალტანჯულ მატიანესი, მისი ჭირი თუ ლხინისა. ჩვენი ენა, ზნე თუ ჩვეულებანი მათ შეუხორცებიათ, შეუთვისებიათ. ამის გამო ქართველი ერის სხვა ერთა თუ წოდებათაგან ისინი ძველად არ გარჩეულან. მათი უფლებები არ შეზღუდულა და ქართველი ებრაელი ქართველი მართლმადიდებელი, კათოლიკე თუ გრიგორიანი ერთგვარი უფლება-მოვალეობებით აღჭურვილნი ერთგულად ვმსახურებოდნენ ქართულ საქმეს. ეს დაადასტურა ჩვენმა წარმომადგენლებმა საერობო თათბირზედ და მას შეუერთდა მთელი თათბირი. რუსეთში ებრაელები უფლებრივად დიდად შეზღუდული არიან. სხვათა შორის მათ არ აქვთ თვითმართველობებში მონაწილეობის მიღების უფლება—არც საერობო და არც საქალაქოში. საერობო თათბირმა ერთხმად დაადგინა მისი უმაღლესობის მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით მომხდარ უკანასკნელ საერთო კრებაზე, რომ ადგილობრივი ებრაელები ყველა სხვა ეროვნებებთან გათანასწორებულნი იქმნენ მომავალ საერობო თვითმართველობაში. ეს დადგენილება ფრიად საგულისხმოა.

# კავკასიის
# სავაჭრო-სამრეწველო ბანკის
## საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად ბანკის აქციონერთა და დამფუძნებელთა გადაწყვეტილებისა, აქციების მეორე ხვედრი ფული—აქციის ღირებულების 40%, ესე იგი, თითო აქციაზედ ასი (100) მან. შემოტანილ უნდა იქმნეს ამა წლის 10—20 მაისამდე.

**ფული მიიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის**

**თბილისში**—სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა № 6). **ბაქოში**—ნავთის მრეწველის ნ. ი. ჯაყელის კანტორაში, (ოლღას ქ. № 5). **კავკავში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **სიღნაღში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **გორში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ყარსში**—ი. ქღენტის აფთიაქში. **ერევანში**—დ. ზ. სარაჯევის კანტორაში, გამგე თ. ვას. გ. ამილახვართან. **დუშეთში**—ვლადიმერ ახალშენიშვილთან. **ქუთაისში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **სოხუმში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ჭიათურაში**—მ. პაპავას კანტორაში, ქ. გრიგოლაშვილთან. **ბათომში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში, **ყვირილაში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ფოთში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ხონში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **სამტრედიაში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ოზურგეთში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკში. **ონში**—დავით კერესელიძესთან.

ვისაც აქციების ათი პროცენტი, ესე იგი, თითო აქციაზე 25 მან. შემოტანილი აქვს, ის ვალდებულია გამოცხადდეს 10—20 მაისამდის დანიშნულ ადგილებში, წარმოადგინოს დროებითი კვიტანცია და მიიღოს ზემოთ მოხსენებულ პირთაგან კომიტეტის შესაფერი საბუთები. მიღებული ფული თითო აქციაზე 100 (ასი) მან. უნდა გაეგზავნოს თბილისში, ვოლგა-კამის ბანკში, (ლორის მელიქოვის ქ. საკუთარ სახლში) სხვა ქალაქებში ვოლგა-კამის ბანკის განყოფილებებში, ან ამ ბანკის რწმუნებულებთან. სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის სახელზედ გახსნილი არის თბილისში ვოლგა კამის ბანკის განყოფილებაში **ცალკე მიმდინარე ანგარიში № 1592.**

**ვისაც სურს შეიძინოს ახალი აქციები, უნდა შემოიტანოს აღნიშნულ პირებთან თითო აქციაზედ 126 მან.**

მისამართი მთავარი ბიუროსი
**თბილისი, სამეურნეო ბანკში**
სასახლის ქ., სხ. სარაჯევისა

ფულის გამოგზავნა ფოსტით შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, Сельскох. Банкъ. Директору Парѳену Александровичу Готуа.

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ, Кавказбанкъ.

**კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის**
**საორგანიზაციო კომიტეტი.**


ქართველი ერი, ყველა მისი წოდება, კლასი თუ ჯგუფი ქართველ ებრაელებს სრულუფლებიან წევრებად აღიარებს საერთო ეროვნულ ოჯახში. ეხლანდელი ქართველი თაობა მტკიცედ ადგია ძველთაგან ნაანდერძევ მცნებას, რომ ქართველი ებრაელი, კათოლიკე თუ გრიგორიანი მხოლოდ ნაწილებია იმ ერთი უმაღლესი არსისა, რომელსაც ქართველი ერი ეწოდება.

საერობო თვითმართველობა, თუ მისი შემოღებას კიდევ ხელი არ შეუშალეს, დიდს სამსახურს გაუწევს ქონებრივად და გონებრივად დაუძლურებულ ჩვენს ქვეყანას. სახალხო სწავლა-განათლების საქმე, მეურნეობა თუ აღებ-მიცემობა, სოფლის გზების და ჯანმრთელობის საკითხი მთავრობის დაწესებულების ხელიდგან საზოგადოებრივ ძალთა წარმომადგენლებს გადაეცემა. ამ საერობო მუშაობაში უნდა ჩაებას ჩვენი ქვეყნის ყველა ძალები მიუხედავად რწმენისა და მიმართულებისა. ჩვენი ქვეყნის ქონებრივ და კულტურულ აღორძინებისთვის მუშაობამ უნდა შემოკრიბოს ეროვნული სხეულის ყველა ნაწილები და ამიტომ არის საგულისხმო საერობო თათბირის დადგენილება ადგილობრივ ებრაელების უფლებების აღიარებისა მომავალ საერობო მოღვაწეობაში.

# მათი თვალთმაქცობა

ჩვენი გაზეთის პეტროგრადელმა კორესპოდენტმა დეპეშით გადმოგვცა სატახტო გაზეთი „რეჩის“ მეთაურის შინაარსი. კადეტთა ორგანოს თბილისიდან დეპეშა მიუღია—ქართველებმა და მუსულმანებმა საერობო თათბირზედ მოითხოვეს—ერობა ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით იქმნეს შემოღებული ე. ი. სათათბიროს დაუკითხავადო. „რეჩი“ დიდათ აუღელვებია, თბილისიდან მოჭორილ ამბავს—ეს მოვლენა მთელი რუსეთის საზოგადოების შეურაცხყოფაა, ამ საკითხს ეხება „ზაკავკ. რეჩი“ და საინტერესო ამბავს მოგვითხრობს. ეს ჭორი შესახებ საერობო თათბირის სურვილისა რომ საერობო კანონი მე-87 მუხლის ძალით განხორციელდეს, სომეხთა ორგანო „კავკ სლოვოდან“ გამომდინარეობს. ეს გაზეთი სწერდა—ქართველები და მუსულმანები 1890 წლის საერობო კანონის მომხრე არიან და მის განხორციელებას მე-87 მუხლის ძალითაც კი მოითხოვენო. ეს ჭორი ეხლა, როგორც სჩანს, შორს წაუღიათ და სატახტო გაზეთის ფურცლებზედ რუსეთის საზოგადოებას მოუწოდებენ—ქართველებმა შეურაცხყოფა მოგაყენესო. ძნელი გამოსაცნობია, რად უნდა ყოფილიყო ეს რუსეთის საზოგადოების შეურაცხყოფა, ჩვენ მართლაც რომ მოვითხოვოთ დაუყონებლივ, დაჩქარებითი შემოღება იმ ერობის, რომელიც რუსეთს უკვე ნახევარი საუკუნე აქვს. თუ მართლაც და ეს რუსეთის საზოგადოებისთვის ასე შეურაცხმყოფელია, პასუხი უნდა მოსთხოვონ არა საერობო თათბირის ქართველ მონაწილეთ, რომელთაც ამის შესახებ არავითარი დადგენილება არ გამოუტანიათ, არამედ სომეხთა პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს, „ცნობილ მცოდნეს საერობო საკითხისა, თ-დ გიორგი თუმანოვს, რომელიც შარშან მარტის 27 იმავე „კავკ. სლოვო“-ს ფურცლებზე კავკასიის ერობას ეხებოდა და სწერდა: ვინაიდან კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ პროექტი არ არის დამზადებული კარგი იქმნება თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია, მინისტრთა საბჭო, ან რომელიმე დეპუტატი შეადგენდეს კანონ-პროექტს, რომლის განხორციელება შეიძლე[illegible] 87 მუხლის ძალით. ამის შე[illegible] გ. თუმანოვს გაზეთი „თემი“ გამოეკამათა—ამით კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპი დაირღვევაო, რაზედაც თუმანოვმა „თემს“ თეორიებით გატაცება უსაყვედურა და თავის მხრით დაიმოწმა ცნობილი „ტრუდოვიკი“ ა. პეშეხონოვი, რომელმაც ერთს დიდს ჟურნალში ის აზრი გაატარა, რომ არაფერი არ უნდა გვქონდეს საწინააღმდეგო, თუ საჭირო რეფორმები სათათბიროს „უშტემპელოთ“ განხორციელდებაო. ასეთია „კავკ. სლოვო“-ს და მისი ამყოლი პეტროგრადელი „რეჩის“ ლოღიკა. რაც შარშან მათ დაუწერიათ და მოუთხოვიათ, წელს ქართველებმა რომ მოითხოვოს—ეს დემოკრატიზმის ღალატი იქმნება და მთელი რუსეთის საზოგადოების შეურაცყოფა.

ამ საერობო თათბირმა ბევრი რამ გამოამჟღავნა, ბევრის ფარული გულის თქმა გამოაშკარავა.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**1 მაისს, მიტროპოლიტმა პიტირიმმა გადიხადა პარაკლისი გამარჯვების მოსაპოვებლად. პარაკლისზე ჩაურთო საგალობელი: წმინდაო დედოფალო თამარ ევედრე ღმერთსა ჩვენთვის. მერე ვესაუბრე სინოდის გავლენიან წევრს. მისი აზრით ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიტროპოლიტმა ამითი სინოდის დაუდასტურებლად დააკანონა ეს უქმე, ხოლო წინასწარ ითათბირა ცარსკოე სელოში. გამოირკვა აგრეთვე, რომ სინოდს უფლება არა აქვს გადასწყვიტოს მნიშვნელოვანი საკითხი საეკლესიო კრებისა. კრების მოწვევის ნებართვას მისცემს მხოლოდ მიტროპოლიტი საეკლესიო კანონების მიხედვით. განზრახულია მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიოთ მომავალ წელს. ეს კრება უფრო მეტის უფლებებით იქნება აღჭურვილი, ვიდრე საეკლესიო კრება.**

—

**ტრაპიზონს მიემგზავრება სამეცნიერო კომისია უსპენსკის ხელმძღვანელობით. იგი შეიმუშავებს ტრაპიზონის სიძველეთა მოვლა-პატრონობის გეგმას.**

—

**ტიროლის დაცვა ავსტრიის პოლიტიკის პრესტიჟის საკითხად გადაიქცა. ტიროლის ჯარებს თვით ავსტრიის ერცჰერცოგი ხელმძღვანელობს.**

—

**ინგლისური „ტაიმსი“ იუწყება, რომ ყველა ის აურაცხელი თოფ-ზარბაზანი და სხვა საომარი მასალა, რომელიც გერმანელებმა ლიბავაში გადმოტვირთეს, დვინის ფრონტზე იგზავნება, სადაც გერმანელები დიად ოპერაციებს ამზადებენ.**

—

პარიზიდან იუწყებიან, მორტჰომიდან ორი კილომეტრის მანძილზე გერმანელებმა საშინელზედ უსაშინელესი იერიში განაახლეს. ფრანგებმა ორი წინა წყება სანგარი დაუთმეს და შემდეგ შემაგრდნენ. გერმანელები დაადგნენ ამ გვარ ტაქტიკას, რომ ვერდენის ფრონტის სიგრძეზე თანდათან იერიში მიიტანონ და სხვა და სხვა ადგილზე მთელი ფრონტი ერთნაირად შეასუსტონ რომ შემდეგ ერთბაში იერიშით სიმაგრეთა ხაზი გაარღვიონ და აიღონ. შუმსკის აზრით გერმანელების ამ გამარჯვებას არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან გერმანელებს იერიშები ვერდენზე დაშორებულ ადგილებში მოხდაო. გერმანელების ამ მოქმედებას, როგორც შუმსკი სწერს, მიზნად ჰქონდა მარტოოდენ გერმანელთა ჯარის სულიერი აფრთოვანება.

**დ. ჯ.**

(მოსკოვის საკ. კორესპონდ.)

**მოსკოვის გაზეთების ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტრო კავკასიისთვის სათემო და აგრეთვე საოლქო ერობას უარჰყოფს. სამინისტრო საჭიროდ სცნობს შემოიღოს უწოდებრივო ერობა ნაციონალ კურიებით ჩრდილო-დასავლეთის გუბერნიების მსგავსად.**

—

**ავსტრია-ტიროლის ჯარს ხელმძღვანელობს ავსტრიის ტახტის მემკვიდრე.**

—

**ინგლისის მთავრობა ამნისტიას აცხადებს ირლანდიელ აჯანყებულთათვის.**

—

**ოზურგეთი.**

კვირას, 8 მაისს, ოზურგეთში დაიწყო კრებები სახალხო მასწავლებელთა კავშირის ოზურგეთის ფილიალურ განყოფილების. დაესწრო 150 წევრი.

**მუმლაძე.**

—

**თელავი.**

შევიკრიბენით და მოვისმინეთ მოხსენება თქვენის წარმომადგენლისა. მოვესალმებით თქვენს მოღვაწეობას, რომელიც შეეფერება თანამედროვე სინამდვილის მოთხოვნილებას და მიმართულია კეთილშობილ მიზნისაკენ.

ამასთანავე გთხოვთ „საქართველოს“ მიმდევარ თელაველთა სახელით თქვენის წრის ერთ-ერთს წარმომადგენელს დაავალოთ ჩვენი მწუხარება გამოსთქვას საქართველოს სახელოვან შვილთა წრიდან უდროოდ დაღუპულ ევდოშვილის ცხედრის წინაშე.

**თავმჯდომარე ალექსანდრე ვახვახიშვილი.**

# ირ. ევდოშვილის დაკრძალვა

**კვირას 8 მაისს ნაშუადღევის 3 ს. და 30 წ. დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში ვაჟას გვერდით მიწას მიაბარეს მგოსან იროდიონ ევდოშვილის გვამი.**

—

**უკანასკნელი პანაშვიდი.**

დაკრძალვის წინა დღეს 7 მაისს საღამოს 8 საათზე ქვაშვეთის ტაძრის ქვეითა ეკლესიაში სადაც განსვენებულ მგოსნის გვამი ესვენა ერთი კვირის განმავლობაში. ყოვლად სამღვდელო ანტონიმ, ეპ. გორისამ, ქართველ სამღვდელოების თანამსახურებით უკანასკნელი პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდის დაწყების წინ დეკ. კალისტრატე ცინცაძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც უცვლელად მოგვყავს.

„წმინდა მოციქულის მცნება—**ქადაგე სიტყვაჲ... ამხილე... და ნუგეშინისეც ყოვლითა სულგრძელობითა და მოძღვრებითა** (2 ტიმ. 4,2), ერთის მხრით, და წინაშე ჩვენსა მდებარე პოეტის ი. ევდოშვილის მეგობრის მხილება—„ერის მგოსანს თუ აფასებდით, გზას რად უხშობდით“-ო, მეორის,—გვაიძულებს ვიკითხოთ: ქართველ საზოგადოებას მართლაც ხომ არ უძევს წილი ვისიმე ნიჭის ჩახშობაში, შეფერხებაში და განვითარების შეჩერებაში?..

თუ გულწრფელად დავაკვირდებით დასმულ საკითხს, უეჭველად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ მხრით უცოდველნი არა ვართ... მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ღვთის მიერ ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანთა რიცხვი მცირე არ არის. ჩვენ კი, შევამჩნევთ თუ არა ნიჭიერ ახილგაზრდას, ერთმანეთს ვახარებთ ხოლმე: აღმოგვიჩნდა დიდებული პოეტი, დაგვებადა შეუდარებელი კომპოზიტორი, განგებამ გამოგვიგზავნა იშვიათი ხელოვანი, აღმოგვიბრწყინდა სწორუპოვარი მეცნიერი და სხ. ასეთი შეხვედრა თავბრუს ახვევს ზოგიერთ ახალგაზრდას, აჩვევს სიზარმაცეს, უღვიძებს სურვილს განდიდებისას, წინ ელობება საჭიროებას სწავლის განგრძობისას, უიწროებს მსოფლიო მხედველობას, აქეზებს ადრე იგემოს სიამენი ამა სოფლისა და უჩლუნგებს ღვთისგან ბოძებულ ნიჭს სწორედ მაშინ, როდესაც უნდა მიეღწია უაღრეს ხარისხამდე...

გაუწიოთ ანგარიში, საყვარელნო, ამ უტყუარ მოვლენას, დიაღაც მივეგებნეთ სიხარულით ღვთის მიერ ბოძებული ტალანტის აღმოჩენას, მივსცეთ „ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“, მაგრამ ამასთანავე ნუ მივეცემით ნაადრევ აღტაცებას, ნუ შეუშლით ხელს გაზვიადებული ქებათა-ქებით ახალგაზრდა მოღვაწეთა განსწავლას, განვითარებას და მომწიფებას. დღეს კი მადლობა შევსწიროთ უფალს საყვარელის პოეტის იროდიონის მოვლენისათვის, იმ პოეტისა, რომლის ბრწყინვალე ნიჭი აღმოშუქდა რა ძლიერად თვის მსვლელობაში ვერ შეაფერხა მრავლისაგან უმრავლესმა დაბრკოლებამ და დაუბრუნდა ზეციერ მამას განსვენებული და განსპეტაკებული...ამინ.

პანაშვიდს დიდძალი ქართველობა დაესწრო. როგორც ეკლესია ისე მთელი გალავანი სავსე იყო ხალხით. პანაშვიდის დასრულებისას ხალხში უკვე ვრცელდებოდა საგანგებოდ გამოცემული „საქართველოსა“ და სახალხო ფურცლის“ ნომრები, გაზეთებს ხალხი გატაცებით კითხულობდა და ათვალიერებდა განსვენებულის სურათებს გაზეთების დამატებაში მოთავსებულს.

**ცხედრის გადმოსვენება.**

მეორე დღეს გათენებისას ცხედარი საყინულე კუბოდან თუნუქის საგანგებოდ გამზადებულ კუბოში გადაიტანეს და წირვისა და ანდერძის ასაგებად ზევითა ტაძარში გადაასვენეს.

**წირვა და ანდერძი.**

კვირას 8 მაისს ქვაშვეთის ტაძარში ხალხმა დილიდანვე იწყო დენა ასე რომ 9 საათზე, როდესაც წირვა უნდა დაწყებულიყო მთელი ეკლესია, გალავანი და გარეშე ქუჩები ხალხით მოიფინა. განაწამებ, სიცოცხლეში და სიკვდილ შემდეგაც, მგოსნის სათაყვანოდ აქ თავი მოეყარა ყველა წოდების წრის და მიმართულობის ქართველობას ყველა ქართულ კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენელთ ვაჟთა თუ ქალთ, ქართველ მოწაფე ვაჟებს და ქალებს, როგორც მთავრობის ისე ქართულ ყველა სასწავლებლების, იროდიონის ჩანგის სულის შთამბერავთ ტვირთ მძიმე და მაშვრალ აურებელ მუშებს და მათ ბელადებს როგორც ტფილისიდან ისე პროვინციებიდან მოსულთ მიუხედავად „თან. აზრის“ საპროტესტო წერილისა. მთელი ეს ამოდენა ქართველობა ერთ სევდაკაეშანს მოეცა მშრომელთა მგოსნის უდროოდ დაკარგვისა გამო. სრულ 9 საათზე დაიწყო წირვა. ეკლესიის შუა ალაგას მაღლობზე ამართული, ყვავილ ფოთლებით გარემოცული ესვენა თავდახურული კუბო მგოსნის მიფერფლილ ნეშთით, რომელიც კუბოს გვერდებზე დატანებულ შუშებიდან მოსჩანდა. კუბოს სდარაჯობდა შავი მიწისგან თავის იროდიონს მასზე არა ნაკლებ განაწამები ცხოვრებაში მისი მეუღლე თავისი ოთხი ობოლ-მარგალიტებით და მათ მზერით-ღა იოკებდა ნაღველს გულისას...

**მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი** ყოვლად სამღვდელო ანტონი, ადგილობრივ კრებულის და თბილისის ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით. ჰგალობდა ქართულ ფილარმონიის საზოგადოების გუნდი, ანდერძის წინ ეპ. ანტონიმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა.

ქრისტე აღსდგა!

მსწრაფლ მავალი ვარსკვლავივით ჩვენი სამშობლო სიტყვის და აზრის სულიერ ცის სახედავიდგან, შენც მოსწყდი, ჩვენო ძვირფასო იროდიონ! შემოდგომის ფოთოლივით, სამწუხაროდ დამჭკნარი, უეცრად ჩამოვარდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ხიდგან! როდის, როდის გათავდება ეს ძვირფასნი დანაკარგნი! სიბნელე ჩუმათ, ქურდულად გვეპარება; ჩვენი ქვეყნის ვარსკვლავნი ერთი მეორეზედ ბნელდებიან, ავდრიანი შემოდგომა მოგორავს, გვიახლოვდება; ცივი ზამთარი თვალებში ჩაგვცქერის. იქ, სისხლით მორწყულ ბრძოლის ველზედ, ჩვენი ქვეყანა საუკეთესო, გაფურჩქვნილ ძალებს მსხვერპლად სწირავს ამ უბედურ მსოფლიო ომს, აქ კი ერთი მეორეზე ჩადიან ცივ სამარეში სილამაზენი ჩვენი სამშობლო აზრისა, გრძნობისა და სიტყვისა. დიდი, დიდი სასჯელია, ძნელი გადასატანია ერისთვის ასეთი საუკეთესო, ძვირფასი ძალების დაკარგვა!

შენ კი დაგვეკარგე, ჩვენო ძვირფასო იროდიონ, მაგრამ ვის დაუტოვე შენი ტკბილხმოვანი ჩანგი? თუ მაგ ოთხ ფიცარში მიგაქვს, რომ ჩაიტანო თან ცივ სამარეში? რა ჰქნას შენმა სამშობლომ, როდესაც ველარ გაიგონებს შენს სიმღერას? შენ გიყვარდა შენი ქვეყანა უსაზღვრო სიყვარულით, შენ აღტაცებით უმღეროდი მას შენ მადლ-მოფენილ ჩანგზე; შენ განვლე მთელი შენი ერის ბუნება და მიაღწიე მის სულიერ წმიდა წმიდათამდე, შენ კარგათ გქონდა გათვალისწინებული, შეგნებული შენი ქვეყნის როგორც სიხარული, ისე მისი მძიმე ტანჯვა-წვალება.

ეხლა დაგვრჩა ერთად-ერთი იმედი: ვიაროთ ხალხთა სიყვარულით დაქელილ ბილიკით შენ მიერ ამართულ ხელთუქმნელ ძეგლთან.—შენი უკვდავი ქმნილება—აი ჩვენი ნუგეში, აი შენი ანდერძი, შენი უკანასკნელი სიკვდილის წინა სურვილი.

მაშ, განისვენე ტკბილად, დარწმუნებული, რომ ჩვენ არ დავივიწყებთ შენს წმინდა მცნებას. მოისვენე, იცოდე-რა, რომ შენ მიერ ერთა ხნულში დათესილი მარცვლები სილამაზისა, კეთილისა და საუკუნოისა გამოიღებენ მშვენიერ ნაყოფს; ჩვენ არ დავივიწყებთ შენს წმ. მცნებას, არ გადუხვევთ შენ მიერ გაქელილ გზას, რომ არ დავამძიმოთ შენი წმ. საფლავი.

რადგან, ბატონებო, ჩვენი წმ. სარწმუნოების სწავლით, არ არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდოს, შევევედროთ უფალს, რომ მან მიუტევოს ჩვენ ძვირფას მიცვალებულს შეცოდებანი მისნი და საუკუნოდ ჰყოს ხსენება მისი. ამინ.

სიტყვის შემდეგ დაიწყო ანდერძი ეპ. ანტონისა და ქართველ სამღვდელოების მიერ. ანდერძის შემდეგ ცხედარი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მუშათა მიერ გადმოსვენებულ იქმნა ეკლესიის გალავანში და დაასვენეს ამაღლებულ საგანგებო ადგილზე. აქ პირველი სიტყვა წარმოსთქვა ექიმმა ივ. გომართელმა.

**ექიმ ივ. გომართელმა** დაახლოვებით შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბარათაშვილიდან მოყოლებული სევდა ჩვენს პოეზიას თან დასდევს. მისი სევდა არის სევდა განახლებული, გაღვიძებული საქართველოსი. ვახტანგ ორბელიანის უიმედო სევდაში აკაკი წერეთელმა იმედის სხივი შეიტანა, იროდიონმა კი ბრძოლის წყურვილი და ძლიერი სურვილი ბრწყინვალე მომავლის მოახლოვებისა. ჩვენი დემოკრატიის გათვითცნობიერება მჭიდროდ არის შეკავშირებული იროდიონის პოეზიასთან და პიროვნებასთან. იროდიონი დემოკრატიის ერთი საუკეთესო მედროშეა, მისი იდეალების ერთი საუკეთესო გამომხატველი, მისი გზის მედგარი გამკაფველი. იროდიონს სწამს დემოკრატია მხოლოდ ეროვნულს ნიადაგზედ გამაგრებული. უკანასკნელი აზრის ქადაგებისათვის მას ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე. ამიტომ არის საყვარელი ის ქართველი ხალხისათვის და რაც უფრო გაიზრდება ქართველ ხალხის თვითცნობიერება, მით უფრო იმატებს იროდიონისადმი სიყვარული.

ქართველი ხალხის წინმსვლელობას ვერავითარი ძალა ველარ შეაჩერებს და ის მოიპოვებს იმ ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც ასე სევდიანად და ასე ტკბილად უგალობდა იროდიონის ჩანგი“.

ბ. გომართლის შემდეგ ებრაელთა რაბინმა საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვათავსებთ. სიტყვების შემდეგ მგოსანის კუბო საგანგებოდ მორთულ თბ. საბალოსნო სკოლის მოწაფეების მიერ საკაცეზე იქმნა დასვენებული და მუშა ხალხმა ასწია. საკაცეს თავზე ყვავილ გრეხილების ჩარდახი ედგა და შუბლს უმშვენებდა მაისის თეთრი ვარდებისა ჯვარი—ემბლემა იმ წამების ჯვრისა, „რომლის ზიდვის დროს გოლგოთისკენ ვინ იცის რამდენი ჩაიჩოქებს“. მგოსნის ლექსის სიტყვით.

სამგლოვიარო პროცესია, რომელშიაც თითქმის 5 ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას გოლოვინის პროსპექტით გაემართა დიდუბისკენ. წინ ჯვარი და დროშები მიუძღოდა, შემდეგ ორი გვირგვინი ერთი მეუღლისა და ობლად დარჩენილ შვილებისაგან—ჩვენ ოჯახის ბურჯს ძვირფას იროდიონს“, მეორე განსვენებულის ძმის და რძლის „ილიკო და ნინო ხოსიტაშვილებისაგან—ძვირფას და მარად დაუვიწყარ იროდიონს“. შემდეგ კუბოს სახურავი და დაფნის გვირგვინი შემდეგი წარწერით: „ქართველ ხალხისაგან მშრომელთა მგოსანს ევდოშვილს“. შემდეგ მგალობელთა ხუთი გუნდი: ი. ბედიაშვილისა (რუისპირელისა) ქულაჯებში, კ. ჩარკვიანისა, ნ. მაისურაძისა, ი. გოძიაშვილისა და თბ. სათავად-აზნაურო გიმნაზიისა, შემდეგ შემოსილი სამღვდელოება ეპ. ანტონის მეთაურობით და სამღვდელოების შემდეგ კუბო ძვირფას ნეშთით საკაცეზე ამაღლებული. კუბოს უკან განსვენებულის ჭირისუფლები მისდევდნენ და აურებელი ზღვა ხალხი, რომელსაც საგანგებოდ არჩეულ მოწესრიგეთა ხელჩართული რკალი მთელ გოლოვინის პროსპექტზე გადავლებული ძლივ იოკებდა.

**სახალხო სახლთან.**

ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე სამგლოვიარო პროცესიის თავი ძლივ გაუთანასწორდა სახალხო სახლს, პროცესიის ბოლო კი ჯერ ისევ ვერის თავდაღმართზე იყო შეფენილი. აქ განსვენებულის ცხედარი საგანგებოდ მომზადებულ ამაღლებულ ადგილზე დაასვენეს და ეპ. ანტონიმ მცირე პანაშვიდი გადიხადა. პანაშვიდის შემდეგ თბილისის მუშების მხრივ სიტყვა წარმოსთქვა ტრამვაის მუშამ გიორგი სულთანიშვილმა და გაილაშქრა „თან. აზრის“ პროტესტანტ ნიადაგ მოწყვეტილ ზოგიერთ ინტელიგენტ და მუშათა წინააღმდეგ. შემდეგ მხურვალე ლექსით განსვენებულის ნეშთს, მიმართა მის სიყრმით შეზდილ მეგობარმა ბეგლარ ახოსპირელმა.

**სამხედრო სასწავლებელთან.**

სამგლოვიარო პროცესია სახალხო სახლიდან მიხეილის პროსპექტით გაემართა დიდუბისკენ. ტრამვაის მოძრაობა აუარებელ ხალხის გამო მთელ მიხეილის პროსპექტზე შეჩერებულ იქმნა. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე პროცესიამ მიაღწია სამხედრო სასწავლებელს. აქ განსვენებულის ნეშთს შეეგება დიდუბის ტაძრის მგალობელთა გუნდი მთავარ დიაკონ კ. ჩუტკერაშვილის ლოტბარობით: გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი რომლის შემდეგ პროცესია გაემართა დიდუბისკენ.

**დიდუბეში**

დიდუბის არე მარეზე ვიდრე, პროცესია მივიდოდა, აუარებელი ხალხს მოეყარა თავი, განსაკუთრებით ნაძალადევის და დიდუბის მცხოვრები, რომელთაც ვერ მოუხდათ ქალაქში გამოსვლა. ზოგი მათგანი ძუძუ მწოვარ ბავშვებით მოსულიყო და თვალი სამგლოვიარო პროცესიის გზისკენ რჩებოდა. ქართველ მოღვაწეთა პანთეონის გალავანში თავი მოეყარათ დაწინაურებელ წარმომადგენელთ სხვა და სხვა ქართველ დაწესებულებათა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა და პროვინციელ დეპუტაციებს.

სამგლოვიარო დიდუბის ტაძრის ზარმა ნაშუადღევის მეოთხე საათზე ამცნო იქ დამსწრეთ, პროცესიის მოახლოვება. ყველას მწუხარების ჟრუანტელმა გაუელვა ტანში. მაისის მშვენიერი მზიანი დღე უცებ მოიქუშა ქარიშხალმაც დაჰქროლა მსხვილ ცის ცვარად ეპკურა იროდიონის სამუდამო განსასვენებელ ბინას-- პირ ღია სამარეს იქვე ვაჟას სამარის გვერდით გათხრილს. წამოვიდა მაისის ჟუჟუნა წვიმა. განსვენებულის კუბო საკაციდან მოხსნეს და გადმოასვენეს სამარემდე მუშებმა. სამარის პირზე ეპ. ანტონიმ დიდუბის კრებულით გადიხადა პანაშვიდი. მგალობელთა გუნდმა უკანასკნელად უსურვა, რომ „სახსენებელი მისი საუკუნოდ იყოს“ შთენილი. ვიდრე მიწას მიაბარებდნენ პირველი სიტყვით განსვენებულის ცხედარს მიმართა დეკ. ი. მირიანაშვილმა:

**ძვირფასო ძმაო იროდიონ!**

დღეს ყველა მხარე და კუთხე ჩვენის ქვეყნისა მთელ ჩვენ ხალხთან ერთად დასტირის შენს გაცივებულ და გაყინულ გვამს, იხსენიებს რა შენს ამაგსა ლა შრომას ჩვენს გამოსაფხიზლებლად და ჩვენს გასათვითცნობიერებლად.

მაგრამ მეტად გულ-ამოსკვნით მოსთქვამს და მძიმედ გულ-ჩათხრობით გლოვობს შენი მშობელი მხარე—ქიზიყი!..

ამან ჩაგიდგა სული, ამან გაწოვა ძუძუ, ამან აგადგმევინა პირველად ფეხი!

შენ ხომ საზოგადოება გიცნობს, როგორც არა „ხოსიტაშვილს“ არამედ როგორც „ევდოშვილს“—„ევდოს შვილს“. განსვენებულმა შენმა მშობელმა დედამ, სახელად „ევდომ“, (რომელიც, უნდა ვსთქვათ ქიზიყს არ ვასცილებია) როგორც ნამდვილმა ხორცშესხმულმა „ოთარაან ქვრივმა“ შთაგბერა და გადმოგცა ქიზიყური სული, მტკიცე, შეუპოვარი, პირდაპირი, მედგარი, მუდმივ მაძიებელი, მუდმივ მოუსვენარი, მუდმივ წინ მავალი!.. აკი ასე მტკიცედ დაიცევ შენი დედის ანდერძი და კურთხევა შენი მშობელი მხარისა!.. აკი ამ სათავიდგან მომდინარეობდა შენი ძახილი ჩვენდამი საუკეთესო მომავლისაკენ და აი შენი სიტყვებიც ამის დამამტკიცებელი:

„წინ, წინ! მედგრად შევებრძოლოთ ჩარხ-უკუღმართ ჩვენსა დროსა...“

ან კიდევ:

„წინ, წინ გასწით მეგობრებო,
ნუ შედრკება ჩვენი გული“...

მთელი შენი ცხოვრება სწორედ ჯვარზედ გაკვრა იყო, ომი, ბრძოლა, ტანჯვა და წამება.

შეჩვეული ხარ, ძმაო, ვაებას, სამსალას!.. „ნუ შედრკება შენი გული“-ც ამ უკანასკნელად შენზედ მოვლენილ განსაცდელისგან. ნუ შეუშინდები შენზედ ადრე მოვლენილს სიკვდილს. მოჰკვდი შენ! მაგრამ ამიერიდან შენი ნეშთი განისვენებს ამ დიდუბის ტაძრის გალავანში ქართველ მოღვაწეთა რჩეულთა სავანეში (პანთეონში)! მხოლოდ სული შენი სამარადისოდ იტრიალებს ჩვენ შორის!

ნუ შეგეშინდება იმისაც, ძვირფასო, რომ დასტოვე ცოლ-შვილი ღარიბად, უმწეოდ!.. მადლიერი ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს მათ!

ნურც იმას მიხედავ, თუ რომ სიცოცხლეში ტანჯულს და ტანჯვითვე სიკვდილით გვემულს, შენს წინააღმდეგ ერთობ ავი ენა, ავი სიტყვა, იცოდე, ძმაო, მთელი ერი ამაღლებს ხმას, გამოგესარჩლება და დაადუმებს მათ...

არ ემეტები, იროდიონ, გულს, რომ სამუდამოდ გამოგეთხოვოთ! მაგრამ უნდა დავემორჩილოთ ბედს და გითხრათ ეს გულსაკლავი სიტყვები: „ძვირფასო ძმაო, იროდიონ! საუკუნოთ იყოს ხსენება და კურთხევა შენი“.

დეკ. მირიანაშვილის შემდეგ სოხუმელ ქართველების მხრივ ბ. ნიკო თავდგირიძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც შემდეგ №-ში მოვიყვანთ.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ჭიათურის მაღაროებში მომუშავეთაგან ვ. იოსელიანმა, განსვენებულის შვილის ამხანაგმა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფემ გვასაძემ, ფარმაცევტების მხრივ ვანო კულაშვილმა და „ზვირთის“ რედაქციის მხრივ ალ. იოსელიანმა (კოლხიდელმა) წვიმამ მოუხშირა და მრავალ ორატორს, რომელნიც ბიუროში იყო ჩაწერილი, ხელი შეუშალა სიტყვის წარმოთქმისა. ნაშუადღევის 3 ს. და 30 წუთზე იროდიონის ცხედარი მიწას მიაბარეს. მიუხედავად წვიმისა ხალხი მაინც დიდხანს არ დაშლილა და თავს დასტრიალებდა „საშვილიშვილო სამარეს“.

---

**სამძიმრის დეპეშები.**

**პეტროგრადი.** ლეო ჯაფარიძისაგან.

**ლანჩხუთი.** წ. კ. გამ. საზ. განყოფილების გამგეობისაგან.

**ქვემო მაჩხაანი.** მაჩხანელი ვასო ალუშვილისაგან.

**ქუთაისი.** წ. კ. გ. საზ. გამგეობის სახელით ოცხელისაგან.

**ლაილაში.** ლაილაშის საზოგადოებისაგან.

**ქუთაისი.** ქუთაისის ქართული გიმნაზიის სახელით ოცხელი.

**ართვინი.** გიორგი ახალციხელი.

**მიხაილოვი.** მიხაილოვის საზოგადოების სახელით ინჟენერი ძნელაძე.

**ზაქათალა.** ზაქათალის ქართველთა სახელით.

ფურცელაძე, ჟღენტი, ფურცელაძე, ბერძენიშვილი, აბაშიძე.

**სიღნაღი.** დუსა და ნიკო ახმეტელაშვილებისაგან.

**სოხუმი.** სოხუმის ქართული სკოლის სახელით ნინო ჯანაშიასაგა.

**სოხუმი.** წ. კ. გ. საზ. სოხუმის ქალაქის საბჭოს სახელით, ქალაქის მოურავის მოადგილე თ.დ გელოვანისაგან.

**სოხუმი.** სოხუმის განყოფილების სახელით თავჯდომარე კნ. ანჩაბაძესაგან.

**ქუთაისი** მარო და კობა ცინცაძეთაგან.

**ძირულა.** ძირულის სამკითხველოს გამგეობისაგან.

## შემოწირულება

**ი. ევდოშვილის** ოჯახის სასარგებლოდ, განსვენებულ მგოსნის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად შემოსწირეს:

1. კნ. ბარათაშვილისამ (ნიკოლოზ კვეზერელ-კოპაძის ასულმა)—10 მან. 2. ივანე ნიკოლოზის ძე კვეზერელმა კოპაძემ—10 მ. 3) გიორგი ნიკოლოზის ძემ კვეზერელმა კოპაძემ 10 მ., 4) მიხეილ ნიკოლოზის ძემ კვეზერელმა კოპაძემ 10 მ., 5) ქ-ნ სალომე ციციშვილის შეგროვილი 25 მ., ბ-ნ ნ. ფანცულაიამ 5 მ., 7) წალვერში მიხ. მურვანიშვილის შეკრებილი 25 მან.

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოდ** მღვ. იასონ ოქროპირიძისაგან 5 მან.

## იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას

„სამშობლოვ ჩემო, ბედიჭარა გაქვს,
„მარად ცეცხლში ხარ გამოხვეული,
„და, აჰა, დღესაც კვლავ დააწურე
„შენს ღირსეულ შვილს ტანჯული
გული“

**ირ. ევდოშვილი**

„განთიადის“ მოლოდინში შორს, უბრალო მომაკვდავთათვის მიუწვდომელს, საიდუმლო ედემის უცნობს წალკოტს აჟღერდა ქნარი და ჰიმნი უგალობა გაზაფხულს...

ობლის საფლავზე ამოსული ლერწმისაგან გამოჭრილი მწყემსის სალამურივით უკვნესდა უცნო ბალნარს...

მომაჯადოებელი იყვნენ კილოკავები: ნაზი, ნარნარი, ვით უმანკო ქალწულის მგრძნობიარე გულის ამონაკვნესი; თილისმიანი, გრძნეული ძილის მქონე; შეუპოვარი, მედგარი, ვით თავდადებული რაინდის უშიშარი, შეუდრეკელი გამბედაობა; მისანი იყო ქნარი იგი, მესაიდუმლე და ამცნობდა ქვეყანას, რომ „უკვე აღსდგა ქარიშხალი,- განთიადის მომავალი.“

მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა ნუგეში და სასოება იხატებოდა ქნარის ჰანგებში... სევდა-კაეშანი ჩაგრულთა... აღფრთოვანებული კილო უკეთესი მომავლისადმი...

მან ადრევე იცოდა, რომ ზამთარს ზაფხული მოჰყვებოდა და მოუწოდებდა მებაირახტრეთ:

„მეგობრებო წინ, წინ გასწით,
„ნუ შედრკება თქვენი გული!“

„აჟღერდა ქნარი და მისი ჰანგები მოეფინენ უცხო წალკოტსა... გამოზაფხულდა ყოველი არსი!

ბუჩქს მიმალული მორცხვი და წყნარი ია სწრაფ ატორტმანდა, თვალნი აახილა და ხარბად დაეწაფა... მომავალი „განთიადი“ ცვარ-ნამს ეზიარა... სიხარულის, აღტაცების სურნელებას აკმევდა არე-მარეს...

მთელი ღამის ტრფიალ-ალერსით დამთვრალი და თავრეტ დასხმული, ვარდის გულცივობით განაწამები აშიკი ის-ის იყო უკუმეთში გადაკარგვას აპირებდა, რომ მოესმა ქნარის გულწარმტაცი ჰანგი და გასაფრენად გაშლილი ფრთები დაბლა დაუშვა.

წამს გაყუჩდა!

სულგანაბული ისმენდა ვარდის ტყვე ახალსა და საოცნებო კილოკავებს წალკოტის მესაიდუმლისას.

ვერც თვითონ მოითმინა: დაჰკვნესდამღერა... ცრემლებად დადნა... ქნარის აღტყინებული კილოთი მოხიბლულმა ვარდმა პირი იბრუნა შეყვარებულის საამბოროდ—„განთიადის“ შესახვედრად ემზადებოდნენ,

ჰირში და ლხინში მოზიარე ფრთაგიშერა მჭექარე კისკასით მოედვა ჰალაკს... მასაც ჩასწვდა გულში „განთიადის“ ჰიმნი...

მანამდე მდუმარე და ყუჩი ნაკადული, რომელიც უჩუმრად მოიპარებოდა და უსიცოცხლოდ მიიზლაზნებოდა—ახმაურ-ალიკლიკდა ქნარის კილოზე ენა ამოიდგა, აიაზმას ასხურებდა მობიბინე, ხავერდოვან ნაპირებს.

ყველა ერთი გრძნობით გაიმსჭვალა „განთიადს“ ელოდნენ და მას უმღერდნენ...

ჰხარობდა და ლხინობდა, იშვებდა და ნეტარებდა, კეკლუცობდა და პატარძლობდა, უსაზღვრო მხიარულებას ეძლეოდა, ზეიმობდა გაზაფხული!

აგერ წამოიჭრა ტოროლა, შეფთხრიალ-გაინავარდა ცისა ლაჟვარდში, რომ თვისი წკრიალა საგალობლით ეხარებინა მსოფლიოსთვის „განთიადი“ მაგრამ...

* *
*

სიდანღაც გაჩნდა ღრუბლის პაწია შავი ბურთი... ჩრდილოეთის ცის კიდურიდან ამოცურდა და აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

თან და თან გაიზარდა, გადიდდა... ბუმბერაზ ვეშაპს დაემსგავსა...

მოისმა გრგვინვა შესაზარი!..

ზანზარი შექნეს ცამა და მიწამ!..

გააფთრებული გრიგალი ლა დანავარდობდა... მსოფლიოს სივრცეს დასისინებდა...

ცეცხლის ისრებით დასერა მხარე...
ნგრევა და რყევა გაამეფა...
მუსრავდა ყოველს...
დამაბრკოლებელს!

ცეცხლის ცრემლი აწვიმა ზეცამ და გადაჰბუგა ყველაფერი...

იელვა კვლავად... იჭექა მეხმა!
და... ქნარს სიმი ჩასწყდა...

უკანასკნელი კვნესა აღმოხდა გულის სიღრმიდან...

აღარ დასცალდა ხილვა სატრფოსი... „განთიადისა“.

„ჩუ! გლოვის ზარი მოარღვევს ჰაერს,
სევდის ღრუბელი გადაატარა,
ძირს მიდუმებულს დაჰგმინა სოფელს
და გაღმა ხევში ხმა მიამკვდარა“.

**გ. მუმლაძე.**

## იროდიონ ევდოშვილი და მისი პოეზია

(იხ. „საქ.“ № 103).

მაგრამ ჩვენს რუქედელილს ამ „ძმობის დროშის“ ფრიალის დროს სასტიკ რეაქციის გრიგალი გადასტეხავს საზოგადო აღფრთოვანებას, უმალ აწყდება ფრთები, იგი უბრუნდება ძველს ნაცნობ ჰანგს, ჰანგს ნაღსონისას,

ჰანგს სინაზისა და უსაზღვრო პესიმიზმისას, სადაც სრულდება პოეტის ნიჭის განვითარების პირველი პერიოდი და თანაც გასაღები გვეძლევა, რომ მგოსანი ახალ ფურჩქნილ პერიოდში უნდა გადავიდეს, რომელიღაც უცხო და არა ჩვეულებრივ სფეროში, რასაც მანამდე გზას უხვევდა. შედევრი ამ პერიოდის გვირგვინისა, როდესაც ნიშნები ჩაისახა მგოსნის გარდატეხისა, უთუოდ გახლავთ მისი დასრულებული და ყოვლად უნაკლო ლექსი: „მხოლოდ ნაღველი სამუდამოა!“

„ღამეს დღე შესცვლის, დილას საღამო.
„მხოლოდ ნაღველი სამუდამოა.

ან კიდევ:

## გაზ. „საქართველო“-ს კანტორა

**უმორჩილესად სთხოვს წლიურ ხელის მომწერთ დააჩქარონ მეორე ნახევარი ხვედრი ფულის შემოტანა.**

„სიკვდილ სიცოცხლე სცვლიან
ერთმანეთს,
მხოლოდ ნაღველი სამუდამოა“ და სხვა.

ეს ნაღვლიანი გამმა, რაც სამარადისო ჰანგად შეგვესმის ეკლეზიასტის ფურცლებიდან, იდეა Vanitas vanitatum ეს მსოფლიო გოდების დაწყევლილი ჰიმნი ევდოშვილმა შავ მზის სხივების მარაოდ გადაგვიშალა და გარდატეხილ ელვარებით მჭმუნვარე სულში ჩაგვაქსოვა. იგი, თუ გნებავთ, ამ დროს ჩვენი ლეოპარდია, იმ განსხვავებით, რომ ჯაკომო ლეოპარდსავით ბოლომდის ნსხვერპლი არ გახდება სრული უნუგეშობისა. მისდა შეუმჩნევლად ეს პერიოდი გახლავთ მისი განვითარების უმაღლესი ხანა, როდესაც კავშირი უნდა გაწყვეტილიყო ძველ ტომასგუდიზმობასთან და ბაირონიზმის სამეფოში შეედგა ფეხი. თუ რევოლიუციის დროს საყვირით ხელში მებრძოლთა მყივარი ტრიბუნობდა ჩვენი მგოსანი, თუ ამ დროს ქვეყანას მაღლით დაჰყურებდა, ყოვლისფერი მშვენივრად ეჩვენებოდა და აღქაფებულ ზვირთებს აფრის შრიალით მიმოსდევდა, სამაგიეროდ ეხლა უდაბნოში ჰგრძნობს თავსა, საგაზაფხულოდ მომცინარე ცა და დედამიწა შემოდგომის მელანქოლიის ქსელით იქსოვება, სიცოცხლის ძალა ტყდება, მამაცობა და ნებისყოფა იწყვიტება, როგორც მაისის ვარდის გაუშლელი კოკორი მოულოდნელი თრთვილისაგან. „ნაღველის მარადისობა“ ცენტრალ ადგილს იჭერს მის შემოქმედებაში. ბედი მისი და ბრძოლის ველზე დაცემულ მეგობრებისა წააგავს „თეთრი ვარდის“ ბედს, რომელიც შავ ზღვის პირად ამოსულიყო, მას ბულბული უმღეროდა, მაგრამ აღქაფებულ ტალღამ შემოჰკრა სილა, მოამსხვრია, თან წარიტაცა უფსკრულისკენ და კონცხზე კი მარტო ერთი „ვარდის ცრემლილა“ დასტოვა, რასაც გულსაკლავად გლოვის ჰიმნს უგალობს დაქვრივებული ბულბული.

ვინ იცის, რით და როგორ გათავებულიყო მგოსნის ახალი მიმართულება, შესაძლებელია ლეოპარდიზმის გაღრმავებისთვისაც მიეცა ფართო გზა, რომ უეცრივ არ მომხდარიყო ფაქტი საშინელებისა და საქართველოს ისტორიის დაღი, თუ გნებავთ, შეილაქა—ილიას მკვლელობა. ევდოშვილის ნიჭისთვის ილიას მკვლელობა ერთგვარი მოსეს კვერთხის დარტყმა იყო ახალი მიმართულების შადრევნის ამოსახეთქად. უზომოდ აღელვებულ მგოსანს ეხილება მიძინებული გრძნობა, უეცრივ სწყდება ძაფი ყველა იმასთან, რასაც იგი სიყრმე-სიჭაბუკეში უმღეროდა. მღელვარება მისი ამ დროს იმდენად დიდია, რომ მგოსნის ჰეშმარიტი კაპრიზები ისრით ჰსერვენ. „მგოსნის ავაზაკებს“ თუ სხვა რამ ამ დროინდელი ლექსები ამ კაპრიზების წყალობით პოეზიის მაინცა და მაინც სახარბიელოს არას წარმოადგენს. წარმოიდგინეთ, წინა პერიოდის ჰანგებთან მისი გულისწყრომის ისრები ფერმკრთალად გეჩვენებათ. მეტ ნაწილად აქ პოეზიასთან კი არა გაქვთ საქმე, არამედ გალექსილ პუბლიცისტიკასთან, სადაც კამათს და დაუსრულებელ ბობოქრობას საზღვარი არა აქვს. ეს იყო პერიოდი მგოსნის გარდატეხისა, ეს იყო მშფოთარე მღელვარება ძველსა და ახალი მიმართულების შუა, ეს იყო ხანა გამოთხოვებისა „ძველ მეგობრებთან“, ეს იმ მეგობრებთან, რომელნიც მგოსანმა ჩანგზე გაწოლილ „გველად“ მოჰნათლა (კრებულის 217 გვ.), ეს სწორედ ის ხანა იყო, რომლის შესახებაც თვით დღევანდელმა „აზრელებმა“ არ დაიშურეს ველურ ალსარების გამოქვეყნება „დავმარხეთ და გამოვიტირეთ ევდოშვილიო“, სახელდობრ ეს ის ხანა იყო, როდესაც მხოლოდ უმზგავსთან და ყოვლად მახინჯ გადაგვარებულთა აზრით ევდოშვილი „მტრის ბანაკს“ მიეკედლა!

(დასასრული იქნება)

**დ. კასრაძე.**

## ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვლის მეუღლეს დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულთან სადარბაზოდ იყო თბ. წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის უფროსი რ. დ. მელიქიშვილისა.

✦ **ქუთაისიდან** ჩამოსულმა სანდო პირმა გადმოგვცა რომ იქ გერმანეთიდან ფრიად სამწუხარო დეპეშა მოსულა: ჩვენი თანამემამულე და ცნობილი პუბლიცისტი ლადო დარჩიაშვილი გარდაცვლილა. იგი ომის დაწყების დროს გერმანეთში მოემწყვდა და წამოსვლა ველარ მოახერხა. მისი დაკარგვა დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართველი საზოგადოებისათვის.

✦ **საქართველოს ექზარხოსი.** მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი დღე დღეზე მოელის სოხუმის ეპისკოპოზისაგან ცნობებს შესახებ სოხუმის ეპარქიის მრევლთა რაოდენობისა ეროვნებათა კვალობაზე. როგორც ვიცით, ამ ცნობებს მჭიდრო კავშირი აქვს სოხუმის ეპარქიის გამოყოფასთან საქართველოს საექსარხოსოდან. აღნიშნულ ცნობების მოსვლას მოელიან 15 მაისამდე. ამ ცნობების მიღების შემდეგ ექსარხოსი დაუყოვნებლივ გაემგზავრება პეტროგრადს, საცა მონაწილეობას მიიღებს უწ. სინოდის სხდომებზე.

✦ **ფქვილი.** ქალაქის გამგეობას დაუკვეთნია პარამონოვისა, კაშჩენკოსა და ნიკოლენკოს წისქვილებისაგან 900 ვაგონი ფქვილი. თბილისის სადგურზე მოტანილი ეს ფქვილი 1 ტომარა (5 ფუთი) ეღირება 14 მანათამდე. თუ რაიმე მოულოდნელი გარემოება არ გამოტყვრა, 2 თვით პურის მხრივ უზრუნველყოფილია თბილისი.

✦ [illegible] **თბილისში.** გუშინ, 10 [illegible] ცოტა პური გამოცხვა. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ რატიანის კანტორის მუშტრებს (100-მდე მეთორნეს) ფქვილი არ ჰქონიათ და ამის გამო პური ველარ გამოუცხვიათ. ამასთანავე ამბობენ, რომ ზოგიერთ მეფურნეებს საკმარისი ფქვილი არ აქვთ და ცოტას აცხობენ პურსაო.

**ქუთაისი**

3 მაისს ფქვილის ვაჭარს მ. მოშიაშვილს მოუვიდა ათი ვაგონი კარგი ხარისხის ფქვილი. ქალაქის გამგეობის სათჯახო კომისიამ ამ ფქვილზე დაკლებული ნიხრი დაადგინა.

— 1 მაისს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში შესდგა ადგილობრივი საქველმოქმედო ბავშთა მზრუნველი კომიტეტის წევრთა საზოგადო კრება. ამ კრებაზე დაადგინეს საზ. ადგილი ქართული გიმნაზიასთან მდებარე, მიეყიდოს „სინათლის“ საზოგადოებას ქალთა გიმნაზიის შენობის ასაგებად 12 ათას მანეთათ.

— ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური კრება 15 მაისისთვის გადაიდვა.

— კვირას, ქუთაისის ვაჭრებმა საურთიერთო ნდობის ბანკის დარბაზში კერძო თათბირზე „საქართველოს“ გამომცემელ ამხანაგობის პაიზე ათი ათას მანეთზე მოაწერეს ხელი.

— ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი პოზიციებიდან დაბრუნდა. მას ავადმყოფობის გამო ათი დღის თავისუფლება მისცეს.

— ქალაქის საბჭომ 2 მაისის სხდომაზე დაადგინა გაეგზავნოს დეპეშა ქალაქის მოურავს ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანს თბილისში, რომ სანამ 800,000 მან. სესხის ნებართვას აიღებდეს საჩქაროდ გამოითხოვოს მეფის ნაცვლიდან 200,000 მ. სესხი სანოვაგის ორგანიზაციის მოსაწესრიგებლად.

## საერობო თათბირი

**პ. ა. გოთუა.** ადასტურებს ნათქვამს, რომ ქალაქების სამაზრო ერობიდან გამოყოფის სურვილი გამომხატველია ქალაქების მესვეურების ლტოლვილებისა, რომ მაზრას მოუსპოს არსებობისთვის საჭირო თანხა, ორატორი ეკამათება ა. ი. ხატისოვს და დოლუხანოვს და ამტკიცებს, რომ მაზრიდან გამოყოფა თბილისის, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა სოფლების ხარჯზე, როდესაც მაზრაშიდ არ მოცირე ქალაქიც-კი, რომელმაც ოდნავ მაინც გასწიოს თბილისის მაგიერობა, მთელი კუთხის შებორკვა და შეფერხება იქმნებაო. ორატორის აზრით თბილისი აქამომდე მეტს სარგებლობდა საერობო თანხიდან ვინემ იხდიდა. მიხეილის საავადმყოფო, ფელშრების სკოლა და საბებიო სკოლა უმთავრესად თბილისს ემსახურებოდა საერთო საერობო თანხით კი ინახებოდაო. ორატორი მოითხოვს თბილისის სამაზრო ერობაში დატოვებას.

**ვექილოვი.** ამტკიცებს, რომ როგორც თბილისი, ისე სხვა ქალაქებიც დამოკიდებული არიან მაზრის კეთილდღეობაზედ და მათი ზრდა და განვითარება მაზრების ვითარებაზედ არის დაკავშირებული.

**თავმჯდომარე** საკითხს კენჭს უყრის, ქ. თბილისის სამაზრო ერთეულში დატოვებას მიემხრო 33 წევრი. თბილისის გამოყოფას კი 16.

ამის შემდეგ კრება გადავიდა ქ. ბაქოს გამოყოფის საკითხზედ. უკამათოდ უყარეს კენჭი და გამოყოფას მიემხრო 16, მაზრაში დატოვებას კი 37.

მორიგი საკითხია ნავთის **სამრეწველო რაიონის** გამოყოფა ცალკე საერობო ერთეულად.

**პარონიანი.** ბაქოს მრეწველთა წარმომადგენელი აღიარებს საჭიროებას სამრეწველო რაიონის ცალკე საერობო ერთეულის შექმნას. ორატორის აზრით ამ რაიონის საერობო თანხის ნაწილის მაზრისთვის მიცემა უსამართლობა იქმნება, ვინაიდან თვით ბაქოს მაზრა საერობო ბიუჯეტის მხრივ მდიდარია სხვა მაზრებთან შედარებით. თუ თავისუფალი თანხები დარჩება, უფრო სამართლიანი იქმნება, რომ ეს თანხები სხვა მაზრებს მოხმარდეს. სამრეწველო რაიონის ცალკე სამაზრო საერობო ერთეულად მოწყობაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ არა ფინანსიურ მოსაზრებებით, არამედ ჩვენ გვინდა რომ ჩვენი სამრეწველო ინტერესები ჩვენვე დავაკმაყოფილოდ.

**კ. ა. ირეცკოი** ვრცელ სიტყვაში ამტკიცებს ბაქოს ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფის საჭიროებას და მთელი ბაქოს სამრეწველო რაიონის კიდევ მეორე საერობო ერთეულად შექმნას.

**ფატალი ხოის ხანი**—განცვიფრებას გამოთქვამს, რომ მრეწველობის წარმომადგენლებმაც მიბაძეს ქალაქის მოღვაწეებს და მოითხოვეს სამრეწველო რაიონის გამოყოფა სამაზრო ერობიდან. აქ გვეუბნებიან—ჩვენ ფინანსები არ გვაინტერესებსო—არა სხვა რა გაინტერესებთ! ჰკითხულობს ორატორი. როგორ უნდათ შექმნა სამრეწველო რაიონის, როდესაც ეს რაიონი გამორკვეულიც არ არის, დღეს აქ მუშაობენ, ხვალ იქ და როგორ უნდათ ზოლებათ, შექმნან საერობო ერთეული, ეს იგივე აგრონომიული რაიონიო დასკვნის ორატორი.

**თ-დი მ. ვ. მაჩაბელი.**—ქალაქების გამოყოფის საკითხი უსამართლო იყო იმით, რომ ქალაქები, რომელნიც გაიზარდნენ სოფლის ხარჯზედ ეხლა გამოყოფას სცდილობენ. ლაპარაკობენ გამიჯნაზედაც. გამიჯნვის შესახეა ხშირად გვესმის და ეს მაშინ, როდესაც ყველა ამ მიჯნების და საზღვრების წაშლას ცდილობდა ერთა, თუ სახელმწიფოთა შორის, ლაპარაკობენ აგრეთვე **ხ. ვერმიშევი** და ინჟ. **გულიევი** და მოითხოვენ გამოყოფას **მ. ვექილოვი** კი წინაამდეგია.

**ი. ი. ზურაბიშვილი**—ამტკიცებს წინადადება სამრეწველო რაიონის გამოყოფის შესახებ მეტად გამოურკვევლად არის დაყენებულიო. ქალაქები რომ ცდილობენ გამოყოფას ეს გასაგებია—მათ აქვთ თავის თვითმართველობა და ერობაში შესვლა აღარ უნდაო. სამრეწველო რაიონს კი ჯერ არაფერი აქვს და გამოყოფას კი მოითხოვსო.

საკითხს კენჭი უყარეს და დიდის უმრავლესობით ხუთის წინააღმდეგ გადაწყვიტეს რომ **სამრეწველო რაიონი** ბაქოს სამაზრო ერობის ერთეულშიდ დარჩეს. IV სექციამ მუშაობა დაამთავრა, დასრულებულია მუშაობა II და III სექციაშიდაც. 7 მაისს ამ სექციების დასკვნას საერთო კრება განიხილავს.

**7 მაისის კრება**

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზე.

**თავ. ორლოვი.** დღევანდელ კრებას თავმჯდომარეობას გაუწევს **მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.**

**უავგუსტოესი თავმჯდომარე** შემობრძანდება დარბაზში, იჭერს თავმჯდომარის ადგილს და წინადადებას აძლევს სექციათა თავმჯდომარეებს შეუდგნენ მოხსენებებს.

**თავ. დ. ო. ნიჟარაძე.** (მე-II სექციის თავმჯდომარე) ჰკითხულობს ჟურნალს მეორე სექციის მუშაობისას. სექციას საერობო ცენზად მიუღია მიწის და ქონების რაოდენობა 1890 წ. კანონში მოხსენებულ ცენზის მიხედ-

ვით. სექცია თხოულობს რაც შეიძლება მის შემცირებას. ამომრჩეველთა კურიებად დანაწილებაც სექციას მიუღია თანახმად 1890 წ. კანონისა. ამის შემდეგ ამ საკითხების შესახებ წარმოსთქვამს სიტყვები **კ. აბაშიძემ, ი. ზურაბიშვილმა, გ. მაჩაბელმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, ვერმიშევმა, დოლუხანოვმა და სხ.**

სექციის ყველა გადაწყვეტილებებს კრება ღებულობს დიდის უმრავლესობით.

**ბ. ლესნიაკი.** (მე-III სექციის თავმჯდომარე) ჰკითხულობს ჟურნალს შესახებ საფინანსო სექციის მუშაობისა. ამ სექციას განუხილავს ჩვენი ქვეყნის გუბერნიების და ოლქების საერობო ბიუჯეტი და ის აზრი გამოუტანია, რომ თითქმის ყველა გუბერნიებს შეუძლიანთ თავისი სახსრით შეინახოს ერობა, გარდა დაღესტნისა, რომელსაც კრების დადგენილებით ხაზინამ უნდა გაუწიოს დახმარება.

**ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევი** ჰკითხულობს მეოთხე სექციის ჟურნალს შესახებ ქ. თბილისისა, ბაქოსა და სხ. დიდ ქალაქების ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფისა. სექციის გადაუწყვეტია, ეს ქალაქები დარჩეს თავისი კუთხის ერობებში და კრებაც ამას დიდი უმრავლესობით ღებულობს.

უმცირესობის დასაბუთებული განცხადება წაიკითხა თბილისის მოურავმა **ა. ი. ხატისოვმა.**

ამითი დასრულდა ყველა სექციების დადგენილებების განხილვა და დამტკიცება. ამის შემდეგ მათმა უმაღლესობამ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კრებას სიტყვით მიმართა:

**მეფის ნაცვლის სიტყვა.**

ბატონებო, სასიამოვნო მოვალეობად ვსთვლი ჩემი გულწრფელი და გულითადი მადლობა გამოგიცხადოთ თქვენი შრომისთვის, რომელიც ჩემის შეხედულობით სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა. თქვენ მე ის მასალა მომეცით, რომელსაც მოველოდი.

კავკასიაში ერობის კანონ-პროექტის შემუშავებას, ღვთის შეწევნით დაუყოვნებლივ შევუდგებით. როდესაც საერთო თათბირზე გიწვევდით, მე ამით მსურდა გამეგო თქვენი საერთო აზრი და თუ უთანხმოება მოხდებოდა მსურდა გამეგო უმცირესობის და უმრავლესობის აზრი. ერთისაც და მეორისაც ერობის კანონპროექტის შემუშავების დროს, როგორც მასალას დიდ სარგებლობას მოუტანს. დიდად სასიამოვნოდ დამრჩა აღვნიშნო წესიერი და და დამშვიდებული ხასიათი თქვენის მუშაობისა და არც ის, რომ არ დაგვიწყიათ პირველ კრებაზედ ჩემი თქვენდამი მომართული სიტყვა.

ყველა ეს იმის იმედს იძლევა, რომ შემდეგ ჩვენი თანხმობით მუშაობა ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის ძვირფას ამ კუთხისთვის. ერთხელ კიდევ გიცხადებთ, ბატონებო, მადლობას. ვხურავ თათბირს და გეუბნებით „ნახვამდის", რადგან პირველ შემთხვევისთანავე, როდესაც მხარეს შემოვივლით განახავთ თქვენი მოღვაწეობის მუდმივ თანამდებობაზე. ხანგრძლივი „ვაშას" ძახილით და მხურვალე ტაშით შეხვდა კრება მის უმაღლესობის მოწყალე სიტყვებს.

შემდეგ ამისა პასუხად დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლმა **თავ. დ. ო. ნიჟარაძემ** მეფის ნაცვალს შემდეგი სიტყვით მიმართა:

თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! მიიღეთ ჩვენგან უსაზღვრო მადლობა იმ დიადი ყურადღებისა და ნდობისათვის, რომელიც მიაგო თქვენმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ კავკასიის ერთ მათი წარმომადგენლების მოწვევით განსახილველად საერობო დაწესებულებათა შემოღების საკითხისა ჩვენში.

ჩვენი ქვეყნის უავგუსტოესმა მმართველმა, რომელმაც თავს იდვა არა თუ მარტო განხორციელება მკვიდრთა დიდი ხნის ოცნებათა, არამედ თვისი მგრძნობიარე გულით მიჰხვდა რა თვით მთელი კუთხის გულის ცემას, დაიდგა მით ამ გულში უკვდავი და კრძალვით განსახსენებელი ძეგლი.

თვით განგებამ, რომელმაც ასე მოწყალედ გაგვიღიმა ჩვენ, ინება მოევლინა ჩვენთვის ისეთი მმართველი, რომლის დამოკიდებულება კავკასიის ყველა ერებთან გამსჭვალულია ერთნაირის პირუთვნელობით და სიმართლით.

არა თუ მარტოოდენ კავკასიის ნორჩი ერობა, შეთანხმებული თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის-მიერ რუსეთის შიდა გუბერნიების ერობის უკვე ნაცად ფორმებთან, არამედ დიდი ხნიდან მოსალოდნელი და თქვენ მიერ განცხადებული პირუთვნელობა კავკასიის ერთადმი, აუცილებლად გამოიწვევს მჭიდრო დაახლოვებას ამ კუთხის საერთო ინტერესთა ნიადაგზე.

თქვენდამი უსაზღვროდ ერთგულ მცხოვრებთ სწამთ და იმედი აქვთ, რომ რაკი ასეთი დიდი ისტორიული რეფორმა, როგორიც არის ერობის შემოღება კავკასიაში, ამ ქვეყნის უმაღლესი ხელმწიფების ისეთი მგრძნობიარე და იშვიათი სახელმწიფო ჭკუის წარმომადგენელის ხელშია, რომელიც ზედმიწევნით მიჰსწვდა კავკასიის ერთა მრავალფეროვან საჭიროებათ, რეფორმა იგი დაჩქარებით და დაუბრკოლებლად იქნება გატარებული ცხოვრებაში.

როგორც წარმომადგენელი საქართველოს ერთ-ერთი გუბერნიის თავად აზნაურობისა, მე თამამად ვაცხადებ, რომ ჩემი ეს სიტყვები და გრძნობანი სრული განსახიერებაა მთელი ჩვენი მხარის მცხოვრებთა სულისკვეთებისა, განურჩევლად რჯულისა და სარწმუნოებისა. ამათ კარგად უწყიან, თქვენო უმაღლესობავ, რომ თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა მდგომარე წუთს მთელი რუსეთის სახელით და მისი იარაღის საზეიმოდ აკეთებთ დიდს საშვილიშვილო და სახელმწიფო საქმეს, საქმეს შეერთებისას რუსეთის ყველა ტომთა და ენათა.

დაბლად გიკრავენ-რა თავს თქვენ იმპერატორობითი უმაღლესობას მადლიერნი ერნი კავკასიისა, ბედნიერი ვარ დაგიმოწმოთ იშვიათი ეს გრძნობანი მათი სიხარულისა და მადლობისა.

მისი უმაღლესობა ამის შემდეგ კრებას გამოემშვიდობა, და მხურვალე ვაშას ძახილის დროს კრების დარბაზიდან გაბრძანდა.

## აჭარიდან

**(დ. ხულო. კეთილი ადამიანის პატივისცემა).**

26 აპრილს მთელს ზემო აჭარაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ აქედან გადაიყვანეს (ნიშნად სასჯელისა) ხალხის საყვარელი უფროსი ბ-ნი ნიკ. ან—ძე ივანოვი. ივანოვი მეცხრე თვეა, რაც აქ მსახურებდა და ამ ხნის განმავლობაში მას ხალხი მამას ეძახდა და ადარებდნენ განსვენებულ გიორგი ბერიძეს, რომელმაც ამავე ადგილზე 18 წელიწადი დაჰყო და ხალხის გულში საუკუნო ძეგლი აიგო. შეწუხებულმა და ფრიად დაღონებულმა ხალხმა გადასწყვიტა დეპუტაციით ეთხოვათ, რათა ბ-ნი ივანოვი ისევ თავის ადგილას დაეტოვებინათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ მოხერხდა. 28 აპრილს ჯამალ-ბეგ ხიმშიაშვილის სასახლეში ხალხმა საყვარელ უფროსს გამოსათხოვარი სადილი გაუმართა, დაესწრნენ მოზრდილ სოფლებიდან თითო-ოროლა წარმომადგენელი და სახსოვრად ვერცხლის სუფრის სამკაული (სერვიზი) მიართვეს. სოფლელების წარმომადგენელნი ნავახშმევს ამბორის ყოფით და ცრემლით გამოემშვიდობნენ საყვარელ მამას. პირველ მაისს, კვირა დილით, ბ-ნი ივანოვი ხულოდან წავიდა. მთელმა ხულოს მცხოვრებლებმა: მაჰმადიანებმა, რუსმა მოსამსახურე პირებმა (ექიმი ქალი, ბებია-ფერშალი და სხვა) და ქართველებმა, მოიყარეს თავი და მხურვალე გულით მშვიდობა უსურვეს. ძნელი ასაწერია გამოთხოვების წამი, ბევრმა ცრემლი ვერ დაიმაგრა, ტიროდა და ცრემლს იწმენდდა სულ სამი დღის წინად მოსული მისი მოადგილე, ტომით რუსი, რომელიც იმედია, ეცდება თითონაც დაიმსახუროს ხალხის ისეთივე სიყვარული, როგორიც ჰქონდა მოხვეჭილი მის წინამოადგილეს.

ბ-ნი ივანოვი ქუთათურია, ქართული იცის. აჭარის განადგურების დროს შავშეთში მსახურებდა და დიდი განცდა გამოიარა. აჭარელთა პროცესის დროს მან და მის მსგავსივე თანამდებობის პირმა ბ. ნიკოლენკომ თავიანთი მიუდგომელი ჩვენებით თავი ისახელეს. ხულოში გარდა ლმობიერი უფროსობისა ხალხს მეურნეობის მაგალითსაც აძლევდა—თავის ხელით მუშაობდა ბოსტანში და ბევრი თესლი და ნერგიც დაურიგა ხალხს...

—

29 აპრილს დიდ აჭარის (სამართველო ხულოშია) სამამასახლისომ ნაცვლად მთავრობის მამასახლისისა ერთხმად აირჩია ბ-ნი იუნუს-აღა ბოლქვაძე. ბ-ნი ბოლქვაძე ახალგაზდა კაცია, ქართული წერა-კითხვის მცოდნე, შეგნებული და მოსურნე აჭარაში განათლების გავრცელების. სრული იმედია ის ხალხის ნდობას გაამართლებს და ეცდება აჭარაში სკოლების გამრავლებას და გზების გაკეთებას.

—

ხულოში, 24 აპრილს, ნადირობის დროს (მწყრებზე), უცაბედად სანადირო თოფი გაუვარდა ჯამალ ბეგი ხიმშიაშვილის მსახურს. საფანტით გატენილი თოფი მოხვდა ჯამალ ბეგის უმცროს ვაჟს—რიზა ბეგს და ფეხში დასჭრა. პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინა ფერშალმა ბ. გიოვი (გიორგი) კაჭახიძემ. ტელეფონით ბათომიდან გამოიხმეს ქალაქთა კავშირის ავტომობილი და დაჭრილი, ბ-ნ კაჭახიძისა და მშობლების თანხლებით წაიყვანეს ბათომში. როგორც გვატყობინებენ რიზა-ბეგს ოპერაცია გადაუტანია და საავადმყოფოდან ადრე გამოიწერება.

—

**ამარა** (ზემო აჭარა). საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ახლად გახსნილ სკოლაში (24 აპრილიდან) ჯერ-ჯერობით 20 მოწაფეა. იქაური ხოჯა ცდილობს სკოლას ხელი შეუწყოს. მასწავლებლად მიწვეულია ქ-ნი კატო ქუთათელაძისა.

**ხოჯ-ოღლი.**

## დაბა-სოფლები

**ს. შრომა.** 1 მაისს ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოთ „შრომა-ლაგოდეხის" სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა წარმოდგენა; I განყ. წარმოთქმულ იქმნა მოკლე სიტყვა თამარ მეფისა და მისი ეპოქის შესახებ, მოწაფეებმა წაიკითხეს აგრეთვე დღესასწაულის შესაფერი ლექსები; წარმოადგინეს: „გაბატონებული მსახური" და „უბედური დღე"; წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა; სულ შემოვიდა (ბილეთებიდან და ბუფეთიდან) 156 მანეთი და 87 კაპ. გასავალი (ბუფეთის ხარჯები და სხვა წვრილმანი) 73 მანეთი და 28 კაპ., წმინდა შემოსავალი დარჩა 83 მ. და 59 კ. მადლობის ღირსნი არიან ბ. ბ. ერმალოზ მაჭავარიანი, ბიქტ. ცხაკაია და ვალ. ბაქრაძე, რომლებმაც დიდათ შეუწყვეს ხელი წარმოდგენის გამართვას.

**ლაგოდეხი.**—დღემდე კიდევ ვერ მოწესრიგდა კოოპერატიულ ფურნის „მომხმარის" საქმე; ნებართვა უკვე მიღებულია; სანამ საზოგადოებას გული გაუტყდებოდეს, საჭიროა გამგეობამ იზრუნოს საქმის მალე მოსაწესრიგებლათ.

— ყველაფრის ზღაპრული სიძვირეა; ადგილობრივი ვაჭრების აღვირწახსნილობას საზღვარი არა აქვს.

— ადგილობრივი ნოქარ-შეგირდები ნაკლებათ დაიარებიან სამკითხველოში; მათთვის არამც თუ ნორმალური დასვენება, კვირა-უქმე დღეებიც არ არსებობს.

**ს. კავშირი.** ბოროტგამზრახველებმა ღამით გასტეხეს ადგილობრივი კოოპერატიული დუქანი „იმედი"; წაიღეს სხვა და სხვა საქონელი 500 მანეთზე მეტი ღირებულებისა; საერთოდ დუქნის საქმე კარგად ვერ მიდის.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


კბილის ექიმმა

**მამულაიშვილმა**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა"** („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**ვაგზლის სამკურნალოში**

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**

აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—24)

# მოდის მაღაზია

# მ. გაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

**მხოლოდ ევროპიული**

(—83—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

**ა. დ. შაჰბაზიანცი**

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა**

**დ. ზესტაფონში**

**ექიმი**

**დ. კ. მაჭავარიანი**

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

**ექიმი გ. გ. ვეშხაძე**

[illegible] უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**სტუდენტები**

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისაათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**ექიმი-დოსტაქარი**

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ქ. ბაქოში

**ღვინით ვაჭრობა**

**„მელანი"**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

**შეშის საწყობი**

**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

**საკუთარი ტყიდან**

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**

**ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალი მოდის საქონელი**

(101—წ.)

**გამოსადეგი ცნობა**

კავკასიის სამკურნალო ადგილების

**ცნობის მიმცემი ბიურო**

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძებველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**დ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გრიბოედოვის ქუჩა № 4.